

საინვესტიციო ბანკინგის განვითარება, გამოწვევები და პერსპექტივები  
საქართველოში

თეონა კუზიბაბაშვილი  
თორნიკე მეყანწიშვილი  
ვარლამ გულიაშვილი

ჯგუფი # 26

*სამაგისტრო ნაშრომი წარგდენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების  
ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროექტის ხელმძღვანელი: ბიზნეს სკოლის ასისტენტ პროფესორი  
დავით გამყრელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019

## რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომის თემაა საინვესტიციო ბანკინგი, მისი გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში. საინვესტიციო ბანკინგის განვითარება მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, საფინანსო და საბანკო სექტორის განვითარებისთვის, ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და პოტენციალის გაზრდისთვის. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საინვესტიციო ბანკები წარმოადგენენ ეფექტურ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც ახდენენ საინვესტიციო გარემოს სტიმულირებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

ნაშრომში განხილულია საინვესტიციო ბანკინგის მნიშვნელობა, როგორც გლობალურ ჭრილში, ასევე კონკრეტულად საქართველოსთვის. კერძოდ, ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ქართული საინვესტიციო ბანკები და ამ გამოწვევებთან გამკლავების გზები.

მოცემული კვლევის ძირითადი თემაა საინვესტიციო ბანკინგის ზეგავლენა ქართულ ბიზნესზე და ეკონომიკაზე. აქცენტი კი კეთდება იმ სიკეთეებზე, რაც შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას საინვესტიციო ბანკინგის განვითარებამ.

ნაშრომში განხილულია საინვესტიციო ბანკინგის განვითარების, დახვეწის გზები საქართველოში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები და აღნიშნული მაგალითების ქართულ რეალობაზე მორგების შესაძლებლობები.

ძირითადი სიტყვები: საინვესტიციო ბანკინგი, საინვესტიციო სტრატეგია, ინვესტიცია, რისკების მართვა, ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, საფონდო ბირჟა, კომერციული ბანკები.

## **Resume**

The main topic of my master thesis is related to the investment banking on the one hand and its main challenges and perspectives in georgia on the other one. The development of investment banking promotes the economic prosperity, the improvement of financial and banking sectors and the whole investment condition for our country. Based on the examples from other countries it is possible to claim that.

Investment banks represent effective financial institutions with the ability to stabilize overall investment condition for a state.

The general aim of this thesis is to analyze the nature of investment banking globally and specifically to understand its main characteristics and challenges for georgian society. Besides, the focus of this research is to explain what kind of influence the investment banking might have on georgian business and economic conditions.

Moreover, the thesis will look through the main means for the improvement of investment banking in georgia and with the help of introducing other countries successful experience. We will also try to explore their compliance to the georgian case.

Main concepts: Investment banking, investment strategy, investment, risk management, bonds, stock market, commercial banks.